საკონტროლო ტესტები – სამართლის ზოგადი დებულებანი

1. რამდენი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეა მოქალაქე:
ა) მხოლოდ ერთი;
ბ) ორი;
გ) მრავალრიცხოვანი.

2. სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება მონაწილეობდეს:
ა) მინიმუმ ერთი პირი;
ბ) მინიმუმ ორი პირი;
გ) მინიმუმ ოთხი პირი.

3. სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე პირი წამოადგენს სამართლის:
ა) სუბიექტს;
ბ) ობიექტს;
გ) ანალოგიას.

4. სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი ელემენტებია:
ა) სუბიექტი და ობიექტი;
ბ) სუბიექტი, ობიექტი და იურიდიული ფაქტი;
გ) სუბიექტი, ობიექტი და სამართლებრივი ნორმა.

5. სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილეები შეიძლება იყვნენ:
ა) მხოლოდ ფიზიკური პირები;
ბ) მხოლოდ იურიდიული პირები;
გ) როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები.

6. კანონის აღსრულების უზრუნველყოფისთვის რა უფლებამოსილებანი გააჩნია სახელმწიფოს
ა) ზნეობა და წეს-ჩვეულება;
ბ) დარწმუნება და იძულება;
გ) რელიგიური ნორმები.

7. სამართლის დარგი არის:
ა) სამსახურებრივი სამართალი;
ბ) მორალური სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი.

8. იერარქიულად რომელი ნორმატული აქტია უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე:
ა)საქართველოს ორგანული კანონი;
ბ) საქართველოს კონსტიტუცია;
გ) საქართველოს კანონი.

9. ითვალისწინებს თუარა კანონი ნორმატული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას:
ა) არ ითვალისწინებს;
ბ) ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილებით;
გ) ითვალისწინებს იმ შემთხვევაში თუკი მიღებულია ნორმატული აქტი, რომელიც მას აცხადებს ძალადაკარგულად.

10. შეიძლება თუარა კანონს ჰქონდეს უკუძალა, თუკი ის ამძიმებს პასუხისმგებლობას:
ა) არ შეიძლება;
ბ) შეიძლება, თუკი სახეზეა პრეზიდენტის ბრძანება;
გ) ასეთ საკითხს კანონი არ არეგულირებს.

11. როდესაც კოლიზიური ნორმა ერთი და იგივე ორგანოს მიერ არის მიღებული უპირატესობა ენიჭება:
ა) ბოლო გამოცემას;
ბ) პირველ გამოცემას;
გ) გამოცემის დროს არა აქვს მნიშვნელობა.

12. რა შემთხვევაში დაიშვება ჩვეულების გამოყენება სამართლის წყაროდ:
ა) ყველა შემთხვევაში;
ბ)მხოლოდ იმშემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და არსებულ კანონმდებლობას;
გ) ჩვეულების გამოყენება სამართლის წყაროდ არ დაიშვება.

13. სამართლის წყარო არის:
ა) შიგა ხელშეკრულება, წესდება;
ბ) სასამართლო პრაქტიკა;
გ) ყველა ჩამოთვლილი.

14. საჯარო და კერძო საწარმოს მუშაკის ისეთი არამართლზომიერი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და ეწინააღმდეგება დადგენილ შინაგანაწესს არის:
ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
ბ) დისციპლინარული სამართალდარღვევა;
გ) სამოქალაქო სამართალდარღვევა.

15. სამართალდარღვევა ყოველთვის:
ა) დასჯის საფუძველია;
ბ) არ არის დასჯის საფუძველი;
გ) საკუთარი შეხედულებისამებრ.

16. სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილი იქნას:
ა) მოქმედებით;
ბ) უმოქმედობით;
გ) ორივე მათგანით.

17. სასამართლო სტრუქტურულად ეკუთვნის:
ა) პარლამენტს;
ბ) არცერთ ორგანოს;
გ) პრეზიდენტს.

18. ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას, რომელს ენიჭება უპირატესობა?
ა) ზოგადს;
ბ) სპეციალურს;
გ) არც ერთ მათგანს.

19. რას გულისხმობს სასამართლო პროცესში ,,მორიგება”:
ა) სარჩელზე უარის თქმა;
ბ) სარჩელის ცნობა;
გ) ,,ა” ან ,,ბ”.

20. სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმების გამოყენებისას რას კრძალავს კანონი:
ა) არ აწესებს არანაირ აკრძალვას;
ბ) კრძალავს მათი ანალოგიით გამოყენებას;
გ) არ აწესებს აკრძალვას და მოსამართლეს უტოვებს არჩევანს.

21. ვისზეა დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლება:
ა) აღმასრულებელ ხელისუფლებაზე;
ბ) საზოგადოების დაკვეთაზე;
გ) დამოუკიდებელი სუბიექტია.

22. აქვს თუარა უფლება სასამართლოს უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე:
ა) შეუძლია თუ არ არსებობს მომწესრიგებელი ნორმა;
ბ) შეუძლია, თუ ნორმა ბუნდოვანია;
გ) არც ერთ დასახელებულ შემთხვევაში არ აქვს უფლება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

23. სამართლის ნორმის შეფარდებას ანხორციელებს:
ა) საკანონმდებლო ორგანო;
ბ) აღმასრულებელი ორგანო;
გ) სასამართლო ორგანო.

24. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც კანონით, კოდექსით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული და უნდა მოწესრიგდეს მსგავს ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის მიღებული ნორმით არის:
ა) კანონის ანალოგია;
ბ) სამართლის ანალოგია;
გ) ურთიერთვალდებულება.

25. კანონის დარღვევის უფლებით სარგებლობს:
ა) პრეზიდენტი;
ბ) სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში;
გ) არავინ.

26. სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპია:
ა) დისპოზიცურობა;
ბ) უფლებაუნარიანობა;
გ) ლეგიტიმურობა.

27. დისპოზიცურობა გულისხმობს, რომ ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის მონაწილეები თავიანთ უფლებებს განკარგავენ:
ა) სხვისი ნებით;
ბ) ვალდებულებების გარეშე;
გ) საკუთარი შეხედულებისამებრ.

28. სამოქალაქო სამართლის მიხედვით, საერთო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს:
ა) 10 წელს;
ბ) 6 წელს;
გ) 3 წელს.

29. რომელ ჩამოთვლილ მათგანზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა
ა) სახელშეკრულებო მოთხოვნებზე;
ბ) უძრავ ნივთებზე;
გ) პირად არაქონებრივ უფლებებზე.

30. ითვალისწინებს თუარა კანონი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას:
ა) არ ითვალისწინებს;
ბ) ითვალისწინებს გარკვეულ შემთხვევებში;
გ) კანონი არ იცნობს ასეთ დაშვებას.

31. როდის წყდება ხანდაზმულობა:
ა) ვალდებულების შესრულებით;
ბ) მოთხოვნის აღიარებით;
გ) ,,ა” ან ,,ბ”.

32. პირის იურიდიული შესაძლებლობა იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ანუ სუბიექტი არის პირის:
ა) ქმედუნარიანობა;
ბ) უფლებაუნარიანობა;
გ) სიცოცხლისუნარიანობა.

33. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედების სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, არის პირის:
ა) ქმედუნარიანობა;
ბ) უფლებაუნარიანობა;
გ) სიცოცხლისუნარიანობა.

34. განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და თავისივე სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს,შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩლედ ან მოპასუხედ არის:
ა) რეზიდენტი პირი;
ბ) ფიზიკური პირი;
გ) იურიდიული პირი.

35. შვიდ (7) წლამდე ასაკის ბავშვები არიან:
ა) ქმედუნარიანები;
ბ) უფლებაუნარიანები;
გ) შეზღუდული ქმედუნარიანები.

36. ქმედუუნარო პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი:
ა) მხოლოდ ადვოკატი;
ბ) მეურვე;
გ) მხოლოდ სისხლით მონათესავე პირი.

37. რა ასაკშია ადამიანი შეზღუდულად ქმედუნარიანი:
ა) 7-დან 18 წლამდე;
ბ) 7-დან 14 წლამდე;
გ) 14-დან 18 წლამდე.

38. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ისპობა, როცა ის:
ა) ტოვებს ძველ საცხოვრებელ ადგილს;
ბ) არის დროებით საპატიმროში;
გ) გარდაიცვლება.

39. რა ჩაითვლება ფიზიკური პირის გარდაცვალებად:
ა) გულის გაჩერება;
ბ) თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა;
გ) კანონი არ ასახელებს ამ შემთხვევას.

40. დაიშვება თუარა ქმედუუნაროდ აღიარებული პირისთვის ქმედუნარიანობის სტატუსის დაბრუნება:

ა) არ დაიშვება, რადგან ეს სტატუსი პირს მუდამ რჩება;

ბ) დაიშვება, თუ პირი განიკურნება;

გ) დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოჯამრთელების შემთხვევაში.

41. შეიძლება თუ არა პირის გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა:

ა) შეიძლება დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) არ შეიძლება;

გ) კანონი არ აწესრიგებს ამ საკითხს.

42. ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე რომლით სარგებლობაც შეუძლიათ:

ა) მხოლოდ ფიზიკურ პირებს;

ბ) მხოლოდ იურიდიულ პირებს;

გ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

43. სამოქალაქო სამართალში სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა მოიცავს:

ა) ნების ავტონომიურობას;

ბ) აღნაგობას;

გ) უფლებაუნარიანობას.

44. აღნაგობის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სხვა პირზე გადაცემა შეიძლება მოხდეს:

ა) მხოლოდ სასყიდლით;

ბ) მხოლოდ უსასყიდლოთ;

გ) როგორც სასყიდლით ასევე უსასყიდლოდ.

45. გარიგება არის:

ა)მხოლოდ ორმხრივი ნების გამოვლენა;

ბ) ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა;

გ) ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა.

46. ქონება მოიცავს:

ა) ნივთებს;

ბ) არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს;

გ) ,,ა” და ,,ბ”.

47. ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას:

ა) ხელშეკრულებითა და კანონის საფუძველზე;

ბ) წინასახალშეკრულებო ურთიერთობიდან;

გ) ,,ა” და ,,ბ”.

48. თუ უძრავი ნივთი შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ ამით სარგებლობა - გულისხმობს:
ა) სერვიტუტს;
ბ) უზუფრუქტს;
გ) აღნაგობას.

49. აღნაგობის უფლების მაქსიმალური ვადა არის:
ა) 17 წელი;
ბ) 99 წელი;
გ) 42 წელი.

50. საგირავნო ხელშეკრულების ობიექტი არ შეიძლება იყოს:
ა) არამატერიალური ქონება;
ბ) მოძრავი ნივთი;
გ) უძრავი ნივთი.

51. ხელშეკრულება შეიძლება იყოს:
ა) მხოლოდ წერილობითი ფორმით;
ბ) მხოლოდ ზეპირი ფორმით;
გ) წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

52. შეუძლია თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლა რომელიმე მხარეს
ა) არ შეუძლიათ;
ბ) შეუძლიათ თავისუფლად;
გ) შეუძლიად, ოღონდ უნდა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები.

53. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია მყიდველს:
ა) გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე;
ბ) გადაუხადოს შეთანხმებული ფასი;
გ) მიიღოს ნაყიდი ქონება.

54. ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები ეკისრება:
ა) გამყიდველს;
ბ) მყიდველს;
გ) ორივე მხარეს თანაბრად.

55. თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი არ არის განსაზღვრული მაშინ:
ა) ფასს ადგენს სასამართლო;
ბ) მხარეები სარგებლობენ ანალოგიის პრინციპით;
გ) მხარეები თვითონ თანხმდებიან ფასზე.

56. ქვექირავნობის ტერმინი გულისხმობს:
ა) დამქირავებლის მიერ ნივთის არ დაბრუნებას;
ბ) დამქირავებლის მიერ ნივთის მესამე პირზე გადაცემას;
გ) გამქირავებლის მიერ ნივთის უკან დაბრუნებას.

57. თუ მიწის ქირავნობის ხელშეკრულება ეხება მიწის ნაკვეთს და მისი ვადა აღემატება 1 წელს ის აუცილებლად უნდა იყოს:
ა) წერილობითი ფორმით;
ბ) ზეპირი ფორმით;
გ) დასაშვებია, როგორც წერილობითი ისე ზეპირი ფორმით.

58. როცა ხელშეკრულებით დამქირავებელს გამქირავებლის თანხმობით უფლება აქვს გაქირავებული ნივთი გადასცეს მესამე პირს ამას ეწოდება:
ა) უპირატესობა;
ბ) ოთხმაგი ქირავნობა;
გ) ქვექირავნობა.

59. მოიჯარე საიჯარო ქირას იხდის:
ა) ფულით;
ბ) ნატურით;
გ) გადახდა შეიძლება, როგორც ფულით, ისე ნატურით.

60. იჯარის ხელშეკრულებაში საიჯარო წლად ითვლება:
ა) მხოლოდ კალენდარული წელი;
ბ) ეს დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე;
გ) ორივე ერთად.

61. თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების დროს წერილობითი ფორმა არ არის, მაშინ ივარაუდება, რომ იგი დადებულია:
ა) განუსაზღვრელი ვადით;
ბ) 3 წლით;
გ) 3 თვით.

62. ხელშეკრულების ფარგლებში ფრენშაიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს:
ა) ერთ წელს;
ბ) ორ წელს;
გ) ათ წელს;

63. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს გაუწიონ:
ა) მაქსიმალური კონკურენცია;
ბ) ლოიალური კონკურენცია;

გ) არ გაუწიონ კონკურენცია.

64. სესხის ხელშეკრულების ფორმა შეიძლება იყოს:
ა) როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი;
ბ) აუცილებლად წერილობითი;
გ) ზეპირი.

65. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების თანახმად საზღაურს ეწოდება:
ა) ფრახტი;
ბ) პროვიზია;
გ) რევიზია.

66. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებით:
ა) შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს პროვიზია;
ბ) პროვიზიას იხდის ექსპედიტორი;
გ) პროვიზიის გადახდა არ არის აუცილებელი.

67. საავტორო და სხვა მომიჯნავე ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს იცავს:
ა) ვალდებულებითი სამართალი;
ბ) სანივთო სამართალი;
გ) ინტელექტუალური სამართალი.

68. იწვევს თუარა სამართლებრივ შედეგს შეზღუდული ქმედუნარიანი პირის წარმომადგენლის სტატუსით გამოსვლა სამართლებრივ ურთიერთობებში:
ა) იწვევს;
ბ) არ იწვევს;
გ) “ა“ ან „ბ“.